№ 164
აგვისტოს 3, შაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 164
აგვისტოს 3, შაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **ხუთ მანეთად** და **ათ შაურად** (5 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

კნეინა ნინო შანშეს ასული, ეკატერინე თომას ასული, თ-ნი გიორგი, კონსტანტინე, მიხეილი და ირაკლი ნიკოლოზის ძენი ვეზირიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა უდროოდ გარდაცვალებასა—პირველი დაუვიწყარის შვილისას, მეორე—მეუღლისა და უკანასკნელნი—ძმისას

თ. სიმონ ნიკოლოზის ძის ვეზირიშვილისას,

სთხოვენ მობრძანდნენ ს. ხოვლეში დასაფლავებაზედ. დაკრძალვა გვამისა იქნება კვირას, 4 მარიამობისთვეს, ს. ხოვლეში თავის საკუთარს პეტრე-პავლეს ეკკლესიაში. (1—394—1)

საამფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდგან)

გადადის ერთ შენობაში ,,სევერნი ნომრების" ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო). (ნ)

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შედავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავალნი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრედვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, სადაც პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნაოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—ნ.—10)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.
გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10-მდე.
ა. ბ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
ვრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.
ა. ბ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

ბ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი

◆ კვირას, 4-ს მარიამობისთვეს საზაფხულო „კრუჟოკში“ ბ-ნ სერბულოვის ორკესტრი დაუკრავს ბ-ნ ჯანდიერისაგან ახლად დაწერილს ლეკურს.

◆ სასტიკი გამოძიებაა დანიშნული გორის მაზრის მომრიგებელ შუა-კაცის თავ. სვ. ნ. ვეზირიშვილის მკვლელის აღმოსაჩენად.

◆ გუშინ, 1 აგვისტოს ტფილისის სამხედრო სასამართლომ სრულიად უდანაშაულოდ იცნო ახალგაზდა პორუჩიკი თავ. იოსებ მელქისედეკის ძე წერეთელი, რომელსაც ჰბრალდებოდა მოქმედებით შეურაცხყოფა თვისის ამხანაგისა, მასთანვე ერთად მოსამსახურე ოფიცრისა.

◆ იბეჭდება და 15 მარიამობისთვის გამოვა გასასყიდად ახალი ქართული წიგნი „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში“, ისტორიული მიმოხილვა მღ. პ. კარბელაშვილისა.

◆ ქრისტეანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებისა და მათ მასწავლებელთა მდგომარეობის განკარგებისათვის ჰფიქრობენ გადასდონ 12000 მან.

◆ ტფილისის რეალურ სასწავლებელში სწავლის ფასს უმატებენ ამ ენკენისთვიდგან. ამიერიდგან სწავლის ფასი იქმნება 65 მან. წელიწადში.

◆ ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 26, 27 და 28 აგვისტოსათვის. თხოვნებს მიიღებენ მხოლოდ 20 აგვისტომდე.

◆ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, კავკასიის სააბრეშუმო სადგურზედ მოხდა გამოცდა იმ პირთა, რომელთაც მოისმინეს წელს მთელი ლექციების კურსი აბრეშუმის კეთებისა და ფუტკრის მოვლა-მოშენების შესახებ. ამ ორ სექციაზედ, თითოზე ყოფილა რვა-რვა კაცი, მათში ექვს-ექვსს თითო განყოფილებიდგან მიუღია შესაფერისი ატესტატი; ყველა ეს პირნი ყოფილან ან სოფლელი მემამულენი, ან სოფლის მასწავლებელნი.

◆ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ქალაქის გამგეობამ შეუკვეთა მარმარილოს მექარხნეს ბ. ტაშჩიანს შიოევის ძეგლის დადგმა, რომელიც უნდა მოესწრო პირობაში აღნიშნულ დრომდე; ბ. ტაშჩიანმა ეს პირობა არ აღასრულა და უკანასკნელ სხდომაზედ გამგეობას ის წარუდგინა გასამართლებელ საბუთად, რომ იტალიიდგან გამოწერილი ლურჯი მარმარილო მესსაჯერის გემის ამხანაგობას დროზედ არ მოუტანია მისთვის. გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში ეს აღნიშნული გარემოება, გარდასწყვიტა: ხელ-მეორედ დაენიშნოს ბ. ტაშჩიანს ძეგლის დადგმის ვადად 17 დეკემბერი; თუ ამ დღისათვის ტაშჩიანმა ვერ მოასწრო, მაშინ მას თითო ვადას გადასულ დღეში გარდახდეს ერთი თუმანი ჯარიმა.

◆ ქალაქის თავმა უკანასკნელ სხდომაზედ წარუდგინა გამგეობის წევრებს საბჭოს მდივნის მიერ შედგენილი 1) დებულება მომავალ 1902—1906 წლის ხმოსნების არჩევნებისა და 2) ინსტრუქცია არჩევნების წესის დაცვის შესახებ. ქალაქის გამგეობამ განიხილა რა მოხსენება ბ-ნ შესტაკოვისა, დაადგინა: დებულება და ინსტრუქცია, შემუშავებული ბ. ჰრელაშვილის მიერ ხმოსანთა არჩევნების შესახებ, დამტკიცებულ იქმნას; ხმოსანთა არჩევნები პირველ სარჩევნო განყოფილებისათვის დაინიშნოს 22 სექტემბრისათვის, მე-2 განყოფილებისათვის—26 სექტემბერს და მე-3-სათვის 29 სექტემბ. გამგეობის გარდაწყვეტილება წარედგინოს ტფილისის გუბერნატორს.

◆ ქალაქის გამგეობის უკანასკნელს სხდომაზედ მოხდა გაგრძელება 1903 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ; სხვათა შორის, ამ სხდომაზედ სასანიტარო-საექიმო ინსპექტორისა და უფროს ვაჭრობის ზედამხედველის თანადასწრებით გამგეობამ განიხილა კითხვები: ქალაქში არხების გაყვანისა, ქუჩების მოკირწყვლისა და საქონლის ბაკების მოწყობის შესახებ და სხვ.

◆ გუშინ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში მოხდა საზოგადოების წევრთა კრება, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ, შეემუშავებინათ ზედაშის (საეკკლესიო ღვინის) შესახებ სხვა-და-სხვა საკითხები; წევრებს უნდა წარედგინათ აგრეთვე თავ-თავისი მოსაზრება ამ საგნის განსამარტებლად.

◆ მიწად-მოქმედების მინისტრს განჯის გუბერნატორისათვის მიუცია 2,000 მან., რათა იმიერ კასპიის მხრიდგან გამოიწეროს ბამბის თესლეულობა. ეს თესლეულობა გუბრნატორს უკვე მიუღია ტ 1800 ფუთი არეშის მაზრისათვის გადაუდვია, 600 ფუთი ჯევანშირის მაზრისთვის და დანარჩენი გაუნაწილებია მათ შორის, ვისაც წინადვე დაუბევებია სათესლე—ფუთი 70 კაპ. მოთხოვნილება-კი იმოდენა ყოფილა, რომ ზოგიერთს ფუთი 1 მ. 50 კ. გაუყიდნია; მცხოვრებთა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ბ. გუბერნატორს უთხოვნია კავკასიაში მიწად-მოქმედების რწმუნებულისათვის, რათა მან იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე, მიეცეს კიდევ 2000 მან. მერიდგან ბამბის თესლის გამოსაწერად მცხოვრებთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

◆ პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, ქალაქმა საზოგადოებას დაუნიშნოს სუბსიდია, რამდენსაც იგი შესაძლებლად დაინახავსო. როგორც ამ საზოგადოების ანგარიშიდგანა სჩანს, საზოგადოების სამკურნალოში 1885 წლის განმავლობაში მიუყვანიათ 835 სული ოთხფეხი, 1886 წელს მიუყვანიათ 1293 სული; 1887 წელს—1743 სული; ამ საზოგადოების 22 წლის არსებობის განმავლობაში საავადმყოფოში ყოველს წელს არა ნაკლებ 500 სული მიუყვანიათ საექიმოდ. სხვათა შორის, სხვა-და-სხვა ქალაქებს ამ საზოგადოების განყოფილებათათვის დახმარებაც აღმოუჩენიათ; მაგ., სევასტოპოლს წელიწადში 450 მან. მიუცია, ბათუმს 450 მ.

—

თ. სვიმონ ვეზირიშვილის მოკვლა. ჩვენ გვიამბეს, ზოგიერთი დაწვრილებითი გარემოება თ. ვეზირიშვილის მოკვლის შესახებ. თ. სვიმონი სახლობით სცხოვრობდა სოფ. ხოვლეს და ისე უვლიდა თავის სამომრიგებელ-საშუაკაცო მაზრას. ხოვლეში იმიტომ დაბინავებულა, რომ გაყრის შემდეგ იქ ჰრგებია მამული სახნავ-სათესი და ტყე. მის მამულზედ მდგარან ხიზნები, რომლებთანაც მორიგებულა კანონისამებრ და დაუვალებია მათთვის აყრა მისის მამულიდგან, ხოლო სანუქბოდ მიუცია ორჯელ მეტი იმაზედ, როგორც შეუფასებიათ ხიზნების ნაამაგარი, შენობანი და ყოველივე დანერგულებანი. ივლისის მიწურულებში ვეზირიშვილი მოურავითა და ბიჭით წასულა თვისის მამულების დასათვალიერებლად და თითქმის ექვსი დღე მოჰგვიანებია. ბოროტ-გამზრახველნი, რომელნიც, როგორც სჩანს, რამდენიმენი უნდა ყოფილიყვნენ, წინადვე ჩაჰსაფრებიან თ. სვიმონს ხოვლეს ახლოს, ისე სამი-ოთხის ვერსის მანძილზედ, გზის პირად, ერთს დაბურულს ტყეში, რომელიც თურმე ეკუთვნის თ. ალ. ჯავახიშვილს, ავლაბრის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორს. ის ადგილი რომ გაუშინჯავთ, სადაც ეს საზარელი კაცის-კვლა მოჰხდა, უნახავთ ტყეში გაკეთებული ქოხი და ყოველივე ნიშნები იქ რამდენისამე კაცის ყოფნისა. როცა თურმე მოიარა მამული ვეზირიშვილმა და დაბრუნდა ხოვლეს, აი აქ, ამ ტყიდან გამოვარდნილა თოფი, მოჰხვედრია ცხენზედ მჯდარს სვიმონს ზურგში და ტყვია ძუძუსთან გამოსვლია. სვიმონმა ერთი-კი დაიყვირა თურმე, გადმოვარდა ცხენიდგან და მაშინვე განუტევა სული. ტყვიას სულ გაეტანა ფილტვები. ერთი ბიჭი მოკლულთან დარჩა ტყეში, ხოლო მეორე გაიქცა სოფელში და უსულოდ ქმნილი და გაცივებული კაცი-კი მიაყენეს სახლში მის ცოლ-შვილს. სვიმონს დარჩა ცოლი და შვიდი წვრილი შვილი. მოხუცებული დედა და ძმები დახოცილები არიან ჯავრით.

—

საზოგადო კრება იაფის სასადილოს რკინის გზის მოხელეთათვის. 1900 წელს, 20 თებერვალს დაარსდა იაფი სასადილო ტფილისში

რკინის გზის უღარიბეს მოხელეთათვის, ისეთებისათვის, რომელნიც თვეში ორ-სამ და ოთხს თუმანზედ მეტს ვერ იღებენ, ცოლ-შვილით დატვირთულნი არიან და ვერას გზით იოლად ვერ შიდიან ამ სიძვირის დროს ქალაქში. ეს კეთილი და ყოვლად სათნო საქმე ითავა რკინის გზის სკოლის მასწავლებელმა ედუარდ ბარტკევიჩმა და რკინის გზის მოხელეთა დამზოგველ საზოგადოების რევიზორად ნამყოფმა გერასიმ პოლშინმა. დააწყეს 2 მან. ერთ დროებით გადასახადად სასადილოში მოსიარულეთა და ან იქიდან სადილის სახლში წამღებთათვის პირველ-უსაჭიროეს მოსაწყობად. საჭირო იყო სახლის დაქირავება, სტოლები, სკამები, სუფრები, დანა-ჩანგალი, ქვაბები, ჭურჭელი ყოველ-გვარი, მზარეული და სხვ. ფული-კი არა იყო-რა. სულ 60 მან. მოგროვდა პირველ ხანში და, აი, ამ მცირე ფულით შეუდგნენ გამბედავნი მოთავენი დიდს და კაცთ-მოყვარულ საქმეს.

20 თებერვალს 1900 წელს, როგორც გსთქვით, აკურთხეს სასადილო ელისაბედის ქუჩაზედ, ვეტცელის სახლში. 60 კაცი იყო პირველში მოსადილე. ერთის თვის შემდეგ 100 შეიქმნა; გავიდა კიდევ ერთი თვე და მოსადილეთა რიცხვი ავიდა 150-მდე. ვისაც სახლში მიჰქონდა სადილი, იხდიდა 6 მანეთს, ვინც სასადილოში სადილობდა, იხდიდა 7 მან. ზაფხული დადგა და მოსადილენი უფრო გამრავლდნენ, რადგან მხოლოდ სახლის უფროსნი დარჩნენ ქალაქში. მაშინ 200-მდე ავიდა მოსადილეთა რიცხვი. მეტი ღონე არ იყო და კიდევ ორი ოთახი მიუმატეს სასადილოს. ასე იარა საქმემ წარმატებით პირველ ხანში და მერე-კი, ცოტა არ იყოს, დაქვეითება დაეტყო სასადილოს. სასადილოსთვის რაგი სავაჭრო დოკუმენტები იყო საჭირო, ხოლო ამისათვის ფული არ ჰქონდათ მოთავეებს, ოფიციალურად მან თავი შეაფარა რკინის გზის მომსმარებელთა საზოგადოებას, რომლიდგანაც იღებდა სანოვაგეს. საზოგადოება თავის მხრივ უნიშნავდა სასადილოს კონტროლიორებს. გამგებლებს-კი ირჩევდნენ თვით მოსადილენი. კონტროლიორები შეხვდნენ უხერხულნი, თუ თვით გამგენი ვერ იქცეოდნენ საკმარისის ენერგიით, სასადილოს ვალი დაედო. გუშინდელმა საზოგადო კრებამ, რომელიც შესდგა რკინის გზის მოძრაობის უფროსის თანაშემწის ბ-ნ ბუდაკოვის თავსმჯდომარეობით, გამოირკვა შემდეგი:

შარშან, 1 ივნისს ვალი ჰქონდა სასადილოს 852 მან. 1 სექტ.—842 მ., 1 ოქტ.—838 მან., 1 ნოემბ.—959 მ., 1 დეკ.—1008 მან. (კაპიკებს გსტოვებთ). 1 იანვარს 1902 წელს 1039 მან., 1 თებ.—1017 მან., 1 მარტს—1028 მ. მერე ნელ-ნელა იკლო ამ ვალმა და 25 ივლისს იყო 975 მან. სამწუხაროდ, დღეს სასადილო ყრუ ქუჩაზეა მოთავსებული, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ერთს უვარგისს სარდაფში.

კრებამ დამფუძნებელნი და საპატიო წევრნი სასადილოსი, ბ-ნნი ბარტკევიჩი და პოლშინი აირჩია კვლავ გამგებლებად და სთხოვა გაეწიათ წინამძღოლობა სასადილოსათვის. ამათ გარდა აირჩია კიდევ გამგებლად ბ-ნი შებინი. ახალნი გამგებელნი ჰფიქრობენ მხნედ შეუდგნენ ამ კეთილს საქმეს, გადაიტანონ სასადილო უკეთესს ადგილას და რიგიანად მოაწყონ. გამგენი სწუხან მხოლოდ, რომ ამისთანა კეთილის საქმისათვის თავი არავინ გამოიდო; შეძლებულმა რკინის გზის მოხელეებმა არავითარი თანაგრძნობა არ გაუწიეს და არავინ არაფრით არ დაეხმარა საზოგადოდ სასადილოს.

ვისურვებთ, რომ ახლა მაინც აღმოსჩენოდეს სასადილოს გულ-შემატკივარნი და დამხმარებელნი. რკინის გზას ათასობითა ჰყავს აგენტები და მოხელენი, რომელთა შორის უმეტესი ნაწილი მცირე ჯამაგირს იღებს და ძლივს გაჭირვებით სცხოვრობს. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სასადილოში დადიოდა და დღესაც დადის ბევრი სხვა გაჭირვებულიცა. და, მაშასადამე, დიდად სამადლობელი საქმეა, რომ ამისთანა კეთილს და კარგს საქმეს ყველამ ხელი გაუმართოს, ვისაც-კი რით შეუძლიან.

ჩვენებური ამბები

ქიზიყი. ქვეყნის დასაბამიდგან დღევანდლამდე ასი ათას მცხოვრებელთა ქიზიყის სოფლებში აბანო არა ყოფილა. დღეს-კი ს. ქვემო-მაჩხაანში ორი აბანო კეთდება ქართველებისაგან და ვნახოთ, რა თვალით შეჰხედავს მდაბიო ხალხი: ივლის თუ არა გასაბანებლად იმ „სუფთა" ტანისა, რომელსაც ნათლობის შემდეგ გაბანება აღარა ჰღირსებია.

—

ჭიათურის საკვირაო სკოლის თავგადასავალი. 1898 წლის შემოდგომაზედ ჩვენ განვიზრახეთ საკვირაო სკოლის გახსნა მოზრდილებისათვის და უსასყიდლოდ სწავლება. აწ განსვენებულ იმერეთის ეპისკოპოს ბესარიონის ნება-რთვით 1899 წლის 15 იანვარს საკვირაო სკოლა გავხსენით სამრევლო სკოლის შენობაში და სწავლაც იმავე დღეს დავიწყეთ. მოსწავლედ გვყვანდა 50—60 მუშა და მასწავლებელნი-კი 6 კაცი ვიყავით; დავდეთ ერთმანერთში ხელშეკრულობა შესახებ სწავლების წეს-რიგისა, გამოვითხოვეთ 100 მანეთის სასწავლო ნივთები შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოდგან, და ამნაირად საკვირაო სკოლაში გავაჩაღეთ სწავლა.

1899 წლის 15 იანვრიდგან 1900 წლის დამლევამდის საკვირაო სკოლაში სწავლა არ შეწყვეტილა და ეპარქიის საბჭოშიაც თავ-თავის დროზედ ვადგენდით ანგარიშებს სკოლის შესახებ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, 1900 წლის დამლევს შავი ქვის წარმოება შემცირდა, რის გამო მოსწავლეების რიცხვმაც თანდათან იკლო, მაშინ მასწავლებლებლებმაც გული აიცრუეს სწავლების საქმეზედ. სანამ თანამშრომლებად მასწავლებლები მყავდნენ სამეცადინეოდ თითო საათი მხვდებოდა დღეში და შემდეგ-კი, ყველა საგნების სწავლება შემომეხვა კისერზედ და ერთი საათის მაგიერ 4—5 ს. მუშაობა დამაწვა ყოველ კვირა დღეს. ერთხანს მარტოდ-მარტო ვიმაცადინე და რადგან უმისოთაც სამრევლო სკოლაში ყელთამდე საქმით დატვირთულ ვიყავ, საკვირაო სკოლის გაძღოლაც ველარ შევძელ; ამიტომ სწავლა დროებით შევაჩერე. წარსულ 1901 წლის 10 სექტემბერს 12 კაცმა ისევ შევადგინეთ ოქმი და ვიკისრეთ მასწავლებლობა, სასწავლო საგნები დავანაწილეთ ერთმანეთში. შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭომ 300 მანეთამდის მოგვცა სასწავლო ნივთების შესაძენად, სამრევლო სკოლიდგან საკვირაო სკოლა გადავიტანეთ შტეიგერის კურსების სკოლის შენობაში, რადგანაც უფრო მოხერხებულად და შესაფერისად ვსცანით და 1901 წლის სექტემბრიდგანვე გავხსენით სკოლა და შევუდექით საქმეს ბეჯითად და ერთგულად. შეგირდების რიცხვიც საკმაოდ გაგვიმრავლდა. მას აქეთ სწავლა წესიერად მიდის, რასაც, თუ საჭირო იქნება, შეამოწმებენ ეპარქიის სკოლების მეთვალყურე მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე და მისი თანაშემწე მ. სიმონ მჭედლიძე, რომელთაც ამ წლის 2-ს ივნისს ოფიციალური რევიზია მოახდინეს ხსენებულს საკვირაო სკოლაში.

საზოგადო საქმეში ადამიანი უსასყიდლოდ შრომობს, არ ზოგავს არც ზნეობრივს და არც ქონებრივ ძალ-ღონეს და მადლობის ნაცვლად-კი ასეთ მუშაკებს უსაბუთო საყვედურებით და ცილის წამებით ენერგიას უფუჰებენ ჩვენში, და ძალა-უნებურად, რომ არ უნდოდეს მაინც, კეთილ საქმეზედ ხელს აალებინებენ... სამწუხაროდ, ასეთი მოვლენა ჩვენში, საზოგადოთ, ხშირია. კარგს ინებებდა პატივცემული „კვალის" შინაური მიმოხილვის ავტორი, („კვალი" № 31) ჯერ დაწვრილებით და უფრო დასაბუთებით გაეგო ჭიათურის საკვირაო სკოლის გარემოება და მერე დაესტამბა თავისი წერილი მკითხველების საყურადღებოდ.

ბ. ვაშაძე.

—

(დასასრული *)

სოფელი დიდი-ჯიხაიში და მისი კულტურული ზრდა. ჯიხაიშლების საჭირ-ვარამო და სამდურავი სხვა-და-სხვა სოფლურ წვრილმანებში ერთობ დიდი საქმეც არის. ესაა— **ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, სამკურნალო საქმის მოუწყობლობა.** ჯიხაიშლები ვაკე იმერეთის ბევრ მცხოვრებლებივით მომეტებულ ავადმყოფობას შემოგჩივლებენ და ასეთი მათი სამდურავიც მართლდება. აქაურთა ჯანმრთელობაზე ცუდი გავლენა აქვს სოფლების ტოპოგრაფიულ-გეოგრაფიულ მდებარეობას; აქაური სოფლები დაბალ, ჩავარდნილ და ჭაობიან ადგილებს წარმოადგენენ ნესტიანის ჰაერით, ყოველივე ეს, ხელს უწყობს მრავარ გვარ და უფრო-კი ციებ-ცხელებით ავადმყოფობას. ამას ზედ ერთვის ხეირიანი, წყაროს წყლების უქონლობა: აქაურები სულ ჭის უგემურ წყალს ჰხმარობენ, რადგან ჭაობიან ნიადაგის გამო, მიწიდგან კარგი წყალი აქ არ ამოდის. აი ჯიხაიშლების დარდი, აი რა აწუხებთ, ვის და რას ემდურიან ისინი ცხოვრებაში არსებობისათვის ბრძოლის დროს. მართალი რომ ვთქვათ, სამდურავიც აქვთ, მაგრამ მასთან ერთად ყურში ბამბის გამოღებაც ადრე ჰმართებთ. და მართლაც კულტურის ფეხდაფეხ მიმყოლები აქაც, ამ სფერაშიაც, არ ჩამორჩნენ „განათლებას" და ამ სენის თუ სრულიად აღმოფხვრა არა, შესუსტება მაინც განიზრახეს.

ეს განზრახვა 3—4 წელიწადია ჯიხაიშლების თავში ბუდობდა და ადგილობრივ საჭიროებათა გულშემატკივარნი მის (სამკურნალო საქმის) მოგვარებას ლამობდნენ. დღეს-ხვალიობით ლაპარაკობდნენ ხალხში, ხან თითოეულთ არწმუნებდნენ „ურწმუნო თომებს", ეს საქმე სასარგებლოაო, ხან თავ-მოყრილ ბაასობით ნებას იყოლიებდნენ ხალხს და ასე ამ ნაირად აქ მცხოვრებ ექიმ ე. ვაშაკიძის და ძმების ს. და დ. დევიძეების თანხმობით შეადგინეს 25 კაცისაგან სამზრუნველო კომიტეტი და დაადგინეს საქმის დაგვირგვინება წარსულის წლის 10 ივნისს. ამ დღეს მოაწერა ხელი „პრიგოვორზე" ჯიხაიშის და ეწერის საზოგადოების უმრავლესობამ და დაადგინა დაეარსებინათ ქსენონი აფთიაქით და მოეწვიათ ერთი ექიმი და ფერშლები. პრაქტიკულათ ამ საქმის განსახორციელებლად ზემორე ნახსენებმა საზოგადოებამ, რომელშიაც შედის ხუთი სოფელი: დიდი და პატარა ჯიხაიში, იანეთი, ეწერი და ჯოქთუბანი, ვალდებული გაიხადა თავისი თავი 4,500 მან. ხარჯის გაწევისა. აქედან 600 მ. წარჩინებულ წოდებას უნდა ეხადა და დანარჩენი გლეხობას (2 მან. 70 კ. თითოეულ კომლზე). აქ სულ ამ ამხანაგობაში 1200-დე კომლი ირიცხება ჯერჯერობით სხვა სოფლებიდან შემოუმატებლად. ამ დღიდგან მოყოლებული სამზრუნველო კომიტეტს 14-ზე მეტი კრება ჰქონია 14 ოქმით აღნიშნული, რომლებშიაც ხალხის ჯანმრთელობაზე მზრუნველნი ითვალისწინებდნენ ყოველგვარ დაბრკოლებას აღნიშნულ სურვილის მისაღწევად და იგონებდნენ საშუალებას იმის განსახორციელებლად. აქაურ ბანკის ამხ. ერთ ამგვარ კრებაზე სიმონ სარ. ლორთქიფანიძეს წერილობით ცალკე აზრი შემოაქვს იმის შესახებ, რომ ბანკის მოგების უმეტესი ნაწილი ქსენონის დაარსებას მოხმარდესო. თავის წერილში ბ-ნი ლორთქიფანიძე ასეთნაირად ახასიათებს ჯიხაიშის წინმსვლელობის საქმეს: „ამ უკანასკნელმა კრებამ ჩვენის დიდი ჯიხაიშის გამს. შემ. ამხ., სხვათა შორის ცხადათ დაგვანახვა, რომ ს. დიდი ჯიხაიშის საზოგადოება შეგნებულია და განვითარებული გონებით და ზნეობითაც საბედნიეროდ და სასიხარულოდ ჩვენდა. ვხედავთ, რომ თუ-კი ვინმე ითავა რაიმე კეთილი და გონიერი საქმე, გამოსადეგი და სასარგებლო, დღეისათვისაც და მომავლისათვისაც კი დიდის სიამოვნებით ეთანხმებიან და თანაუგრძნობენ მას; თავიანთის შეძლებისამებრ იღებენ მონაწილეობას ფულის შემოტანით და სხვა-და-სხვა დახმარებით სასარგებლო და საქველ-მოქმედო საქმისათვისაც-კი". ამიტომო, ამბობს იგი, საჭიროა ამ ბანკის მოგება 600 მ. მთლად ამ საქმის, ქსენონის დაარსებისთვის გადიდვასო.

რასაკვირველია, ამ ხნის განმავლობაში სამზრუნველო კომიტეტს ბევრი დაბრკოლება გადაეღობა თავისს მოქმედებაში. ბევრმა ამათ მოქმედებას ავის, ანგარების თვალით შეჰხედა და დამწყებთა კერძო საქმედ მიიჩნია. სოფლის ჯანაოზ დედაბრებმაც განგაში მორთეს, რა გვექსენონება, სად შევიძლია იმის ხარჯები, უქსენონოთაც ჩვენებური წამლობით იოლად მივდივართო და სხვა; მაგრამ, ბოლოს ყოველივე იძლია და ამ წლის თებერვალში შუაგულ ჯიხაიშში უკვე ვხედავთ ქსენონს აფთიაქით, ამბულატორიით, ექიმით და ფერშლებით. პირველ თვე ნახევარს აქ ხონიდგან დაიარებოდა კვირაში ორჯერ ექიმი პოლიკო კიკალიშვილი, ხოლო მას აქეთ მეოთხე თვეა ქსენონს განაგებს საკუთარი ექიმი ივანე გომართელი.

ქსენონის და ექიმის მიუცილებელ საჭიროებას აქ მარტო ის ფაქტიც ჰმოწმობს, რომ ამ მოკლე ხანში, სულ 3—4 თვის განმავლობაში ექიმს 3500-დე ავათმყოფი გაუსინჯავს თვით ქსენონში და ბინაზე, კერძოთ კიდევ სხვაა და 6,500-მდე რეცეპტი გაუცია. ასეთ ციფრებს-კი არა თუ სოფლის, ქალაქის ქსენონებშიაც იშვიათად შეხვდებით. დღეში ექიმის მიერ 40—50 და მეტი ავადმყოფის გასინჯვა, დიაგნოზის გარკვევა და რჩევა-დარიგების მიცემა სოფლელ ხალხისათვის, არც მაგრე საადვილო საქმეა და ძნელი წარმოსადგენიც არის, თუ რამდენ დროს და შრომას მოინდომებს იგი ხალხის გულშემატკივარის და არა ჩინოვნიკურად საქმის მაყურებელ ადამიანისაგან. დილის 8—9 საათიდგან ნაშუადღევის სამამდე ქსენონში ავადმყოფების მიღება, რომელთა რიცხვი დღეში ხანდისხან 60-დე ადიოდა, ხოლო ნასადილევს სახელდახელო ავადმყოფებში სიარული ხანდისხან შუაღამემდისაც,—აი ის შრომა, რომელიც დღემდე ხვედრი იყო აქაურ ექიმისა. მეტს თუ არა, ფერშლებიც არა ნაკლებს მუშაობენ ექიმზე, რადგან ისინი ამათთან დასწრებას გარდა, აფთიაქში წამლებსაც ამზადებენ, წამლების ხმარებას აწსავლიან ხალხს და სხ.

მაგრამ ყოველსავე ამას ვინ დაეძებდა, რომ ბევრს ჯანმრთელობის საქმე რაღაც საანგარიშო საქმედ არ გაეხადა და ავათ არის თუ არა, არ გაიძახოდეს: ფულს მისთვის ვიხდით, რომ ექიმმა ყოველთვის გვსინჯოს და წამლები გვაძლიოსო. დღემდე ხშირად ძალიან ბევრი ან სრულიად ჯანმრთელი ასინჯვინებდა თავს ექიმს, ან-და სულ უბრალო ავადმყოფობის პატრონი. არიან, მაგ., ისეთები, რომლებიც ტანზე ოფლის დენის გამო თავს ასინჯვინებენ, ან უბრალო ხველება აუტყდება, ან კიდევ ბინაზე იწვევს ექიმს და ისიც მიდის და ავადმყოფი შინ არ ხვდება: აგერ მეზობლისას გადავიდაო, ეუბნებიან. ისეც მოჰხდება ხოლმე, რომ ექიმთან მოდიან და ეუბნებიან გამსინჯეო. ისიც, რასაკვირველია, სანამ თავისს მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდეს, ჰკითხავს გასასინჯათ გამზადებულს: რას იტკივებო და პასუხს იღებს: ექიმი თქვენ ბძანდებით, ბატონო და თითონ უნდა გაიგოთ, რაც მტკივაო. მომთმენი ექიმიც უნდა მოდგეს და სინჯოს ტანზე ხელსაწყობების ბრაგუნით და დაყურებით მთელი მისი სხეული და ბოლოს აღმოჩნდება, რომ არაფერი არ სტკივა და ტყუილად ასინჯვინებდა ექიმს თავს: რა მენაღვლება, ფულს ვიხდიო, ამბობს თავის გასამართლებლად. ბევრი კიდევ, რადგან ქსენონიდგან წამალი მუქთად ეძლევა ფჩხილიც რომ ასტკივდეს, ან ქვაზე ფეხი წაჰკრას, აფთიაქში მირბის: არიქა, წამალი მომეცითო. სხვა დროს-კი ამ გვარ ავადმყოფობის გამო-კი არა, სანამ სიკვდილის დღეზე არ მიდგებოდა, ექიმს არ დაუძახებდა.

დღეს ამგვარ მოგონილ ავადმყოფთა ასალაგმად ქსენონის სამზრ. კომ. 17 ამ თვეს დაადგინა შემდეგ საშუალებას მიმართოს დროებით საცდელად: მოაკლეს 2 მ. 70 კ. კომლზე გადასახადს 70 კაპ. და დააწესეს ქსენონში ავათმყოფის გასასინჯი და რეცეპტის გამოსაწერი (რასაკვირველია, წამალს დღესაც მუქთად მიიღებს) 25 კ., ხოლო ბინაზე გასასინჯი 10 კ. აქედგან შემოსულ ფულით-კი მოუმატებენ წამლებს და გააუმჯობესებენ ქსენონის ამბულატორიას, რომელიც დღეს დღეობით მხოლოდ სახელწოდებას ატარებს ამბულატორიისას, თორემ შიგ სულ უბრალო საექიმო ხელსაწყობებიც არაა. ასე რომ სოფლელებისაგან გაღებული ფული სოფლელებისავე საკუთრებას, ქსენონ-აფთიაქის და ამბულატორიის გაუმჯობესობას მოჰხმარდება. ეს არავის ჯიბის გასასქელებელ წვლილის გაღებას არ შეადგენს და ექიმსაც შრომა შეუმსუბუქდება.

ასე ამრიგათ მიიმატეს მეცადინე ჯიხაიშლებმა წელს კიდე ერთი კულტურული დაწესებულება, მაგრამ მისი დაარსება და აწინდელი მდგომარეობა ჯერ კიდე საბუთი არ არის იმისა, რომ მის იარსებობა მუდმივი და თუნდაც ხანგრძლივი იქნება. თქმა არ უნდა, ყოველი ამგვარი კულტურული ძალა ნელის ნაბიჯით იკვალავს სოფლად გზას. ხალხი ერთსა და ორ წელიწადს ვერ შეიგნებს სავსებით ექიმობის უაღრესობას სოფლის დედაბრებმარჩიელების მატყუვრობის წინაშე. აქ მშრომელს ბევრი უსიამოვნო და აუტანელი შრომა ხვდება სოფლის ეკლიან გზაზე სიარულის დროს, მაგრამ უკან დახევას ამ საქმეში მეტად დამაღონებელი და გულის გამტეხი გავლენა ექნება ხალხზე. ამიტომ საჭიროა სამზრუნველო კომიტეტმა ახალი საშუალება აღმოაჩინოს ქსენონის აწინდელ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომ კულტურულმა ადამიანმა იქ შრომა შესძლოს და სარგებლობა მოუტანოს ხალხს, ვისთვისაც ამგვარობაში იწვევენ კეთილ-სინდისიერ მომქმედთ. დღეს-დღეობით, როგორც გვითხრა სამზრუნველოს ერთმა წევრთაგანმა, ისინი იმის ცდაში არიან, რომ ახლანდელ ქსენონის, ბანკის და სასამართლოს გვერდით შეიძინონ რამდენიმე ქცევა ადგილი და ყველა ამ დაწესებულებათ აქ მოუყარონ თავი, ააშენონ ქსენონის და ექიმისათვის საკუთარი შენობა და სხ. ამისათვისთ გაუგზანიათ ტფილისსა და ბათუმში სამ-სამი კაცი, ჯიხაიშელი, იქ მცხოვრებლებში ფულის შესაკრებად. სამზრუნველო კომიტეტივე აპირებს აღძრას შუამდგომლობა ქუთ. საგუბერნიო დაწესებულებაში, რომ მიეცეს მათ ქსენონისათვის საერობო ფულიდგან 1000 მ. უეჭველია ამგვარ ცდაში ჯიხაიშლებს იქაური მცხოვრებნი ახლა სხვა ქალაქის მოღვაწენი (ქუთათური ქალაქის თავი დავით ლორთქიფანიძე და ფოთისა ნიკო ნიკოლაძეც) დაეხმარებიან თავიანთ სოფლის წინსვლელობისათვის ზრუნვის საქმეში. ამგვარად ჯიხაიში მალე გაამართლებს თავის ისტორიულ სახელწოდებას დიდი-ჯიხაიში.

ისო.

სომხეთი

(დასასრული *)

ქართველისა და ოსმალოს „ჯალდო—რეცეპტი" მეტად გულს მოჰხვედრია სომეხ ავტორს ბ-ნს ლიონს. სწორედ ვერ გაგვიგია, ქართველმა რა დაუშავა სომეხს, ჰაიასტანში გადიხვეწა და მამულებსა და ეკლესიებს დაეპატრონა, თუ მევახშეობით სული ამოართვა მცხოვრებთა? ნუ-თუ ოსმალოს გვერდშია ამოსაყენებელი ის ქართველი, რომელსაც სომეხსავით ერთნაირი დვაწლი მიუძღვის კაცობრიობის წინაშე საქრისტიანო კულტურის დაცვით მოზღვავებულ მაჰმადიანთ ურდოთაგან, რომელიც სომხის ღვიძლი ძმაა, უფროსიც, და საისტორიო გაჭირვება თუ მეტი არა, ნაკლები არ უნახავს ამ ცოდვილ ქვეყანაზე, როგორც უფრო ადრე გამოსულს საისტორიო ცხოვრების ასპარეზზე, რომელსაც არც რაოდენობით, არც ვითარებით ნაკლები ძეგლი არ დაუცავს თავის სახელოვან წინაპართ გონებისა და ხელის მონაღვაწევი და რომელიც ეხლაც-კი, ამ უკუღმართობის დროს, ხელს არ აკლებს გარჯასა თავის კეთილ-დღეობისათვის, რამდენადაც-კი გარემოება საამისოდ ხელს უწყობს. ქართველის სიფანტე, სომხის ავტორისაგან ებად აღებული, საზღაპრო ამბავი იქმნება, თუ თვალს განგებ არ დავხუჭავთ და დავინახავთ ჩვენებურის მიწის მოქმედის ჯაფას, რომელსაც საქართველოში ვერ გადურჩა ახო გაუტეხელი და მოუხვნელი ისეთი ბორცვებიც-კი, სადაც გუთანი-კი არა, სახნისიც ვერ მიუდგება და საწყალი მიწის-მუშა ხელ-ოთხიანი იძულებულია წელი თოკით დაიმაგროს ხეზე, თუ ვინიცობაა ფეხი დაუცდა და დაღმართში ჩაექანა. შეიძლება სომხის ავტორმა ზარმაცი და გართობის მოყვარე უწოდა ქართველთა ერის ერთს ნაწილს—თავად-აზნაურობას, მაგრამ იმის ცხოვრებასაც რომ ჩაუკვირდეს, თუ სრულად არა, ნახევრად მაინც გაუცრუვდება აზრი, რადგანაც თავის მოვლისა და პატრონობის გრძნობა იმასაც აქვს და არც უმწეო ბავშვივით ტირის, არამედ იბრძვის, როგორც ჭაბუკი, რათა შეერთებულის ძალ-ღონით დაიცვას თავი გადაგვარებისაგან, ხოლო საკუთრება—მევახშისაგან. მაგრამ ქართველის ხალხის ასეთი გარჯა თავის მოვლისა და პატრონობისათვის სრულიად არ მოასწავებს იმ ჯალდო-რეცეპტს, რომელიც სომხის ავტორს მოსვლია და რომელზედაც თურმე სწერია ოთხი სიტყვა: სიკვდილი და აოხრება სომხებსაო. იმ რეცეპტზე თურმე ოსმალეთთან ერთად ხელი უწერია აგრეთვე ქართველს და სწორედ ეს ორი ხალხი უნდა იგულისხმებოდეს სომეხთა მოსისხარ მტრებად, როცა ავტორი ბრძანებს, გვესმის, ვინ არიან ჩვენთვის რომ სიკვდილი და აოხრება ჰნებავთო. დიაღ, ეს უნდა ვიფიქროთ. მაგრამ როგორღა გავიგოთ, როცა იგი შეჰნიშნავს, საზოგადოება რომ მომზადებული იყოს, მევახშეს შიმშილისაგან სული გავარდებაო. ქართველთა გარჯისაგან სომხის მევახშეს შეიძლება მართლა სული გავარდეს, რადგანაც გარჯას ფულის მოგება მოსდევს და მევახშის ფული საჭირო აღარ იქნება. მაგრამ საზოგადოდ სომხების სიკვდილი და აოხრება აქ რა შუაშია?! საქართველოში პატიოსანი არა მევახშე სომეხიც არის და უნდა ვიცოდეთ, რომ იგი ქართველთა კოოპერატივ საზოგადოებათა მოქმედების მსხვერპლი არასოდეს არ გახდება, პირ-იქით მხარსაც დაუჭერს ქართველსა მევახშის წინააღმდეგ, ხოლო თუ ვინმე მოინდომა ქართველთა მოსპობა, როგორც ერისა, მაშინ რასაკვირველია, ყველაფერი ეპატიება ქართველ კაცს, მტრის სიკვდილიც და აოხრებაც. თუ ეს ჰგონია სომხის ავტორსა, მაშინ სწორედ შესაფერი რეცეპტიც მოლანდებია. მაგრამ შესაძლოა ოსმალეთის ამბების გავლენით ნერვებ-აშლილობა დასჩემდა და იმიტომაც ის ჯალდო-რეცეპტი მოსვენებას არ აძლევს.

სომხის ავტორს თავისი პასუხი ევროპიელთათვის მიუმართავს, გვხედვენ, მაგრამ ჩვენი-კი არ ესმისთო და ფონ-მასოვისაგან სომეხთა ათვალწუნებაც ვითომ ამით უნდა აიხსნებოდეს. გერმანელი მგზავრი ფონ-მასოვი ავად იხსენიებს საქართველოს სომხებსა ისე, როგორც ბ-ნი კანადევი და ვერ დაგვიჯერნია, რომ იმათ სომხის დანახვა შეიძლეს და გაგება-კი ვერა. რა-კი ჩვენ ევროპიელები არა ვართ, შეიძლება სომხის დანახვასთან ერთად მისი გაგებაც შევიძლოთ. საქართველოში, მის აღმოსავლეთ ნაწილში, სომეხი მარტო მევახშეა, სხვას თითქმის ვერ ვხედავთ, რადგანაც საქართველოს ერი ქართველია და არა სომეხი. ხოლო რომ ეს მევახშე არის და კიდეც გვავიწროებს, ამას თვითონ ავტორიც ასაბუთებს, ასახელებს არ მის საზრდოდ ქართველთა ზარმაცობას და განცხრომა-ფუფუნების მოყვარეობას. როგორ არა გსთქვათ, გვავიწროებსო, როცა ეს მოვახშე ჩვენს ნივთიერ დაუძლურებასთან ერთად შემთხვევისაგან მოსარგებლე იჩენს აგრეთვე მოქალაქობრივ მისწრაფებას, ჩვენი მოძმე გრიგორიანობა გაასომხოს, ჩვენი სამკვიდრო მიწა-წყალი ცას და ქვეყანას ჰაისტანად გააცნოს, ჩვენებურ საქრისტიანო-საისტორიო ძეგლებზე ჩვენი კულტურის კვალი მოშალოს და დაეპატრონოს. დიახ, ჩვენმა ავტორმა ტყუილად არა თქვა, მარტო ის კი არ ვიცით, სადა ვართ შემდგარნი, არამედ ისიც ვიცით, თუ საიდანაც მივდივართო. დიაღ, მარტო ის კი არ ვიცით, რომ ჩვენი ავტორი და მისი დამქაშნი საქართველოში არიან შემდგარნი, არამედ ისიც ვიცით, რომ აღარ ნებავსთ წასვლა იქ, საიდგანაც მოსულან. თორემ აზგასურობის საბოლოო მიზანი ისეთივე ცხადი იქმნებოდა, როგორც სიონისტობისა, რომელიც ისრაელის ისრულობას თავი მოუყაროს იერუსალემში. მართალია, ასის წლის წინეთ ქართველ მეფეთა და თავადთა ყმები იყვნენ, მაგრამ მათი ყოფა საქართველოში ლენგთიმურის დროებს არ შეედრებოდა და შესაძლოა, ამიტომაც უგულებელ ჰყო სომხის ავტორმა საქართველო თავისს წერილში. მაგრამ ასეთი საქციელი ხომ უმადურობად ჩამოერთმევა, რადგანაც ის მასპინძლობა, რომელიც საქართველოს მეფეებმა გაუწიეს შემოხიზ-

---

*) იხილე „ივერია" № 163.

*) იხ. „ივერია" № 128.

ნუღა სომხებსა, ისტორიაში იშვიათია, როგორც ქველობის და კაცთ მოყვარეობის მაგალითი.

ვერ დავეთანხმებით სომხის ავტორს, როცა ამბობს, რა სარგა არის ჩემთვის, რომ სომხის ვაჭრები, სომხის მდიდრები ბლომად არიანო. შინაგანად მისთვის შეიძლება მართლა სარგა არ იყოს სომხის მდიდრების ფული, მაგრამ ერის, საერთო საქმისთვის-კი დიდი რამეა. ვინ იტყვის, სომხის მაკიდონებს სომხის საერთო საქმე წინ არ წაეწიოს, მაგრამ ახლა ესა ვთქვათ, ეს დიდვაჭრები და სოვდაგრები საქართველოში რომელს ერს ეკუთვნიან? ცხადია, ამა ჰაიასტანს, თუმცა-კი სომხები არიან. ჩვენ ვერ გაგვიგია, რა აზრით ამბობს სომხის ავტორი „მე, როგორც ერს სავაჭრო წოდებაც მაქვსო“. არ შეიძლება, გვიჩვენოს, სად იშოვება ასეთი ერი? სომხის ვაჭრებს-კი ვხედავთ, მაგრამ არა ჰაიასტანში, არამედ სხვა ერთა შორის, საჰაიასტანო მიწა-წყალზე-კი დღეს მაჰმადიანობის ზღვა აგორებს ზვირთებს, რომელთა შორის გაბნეულა სომეხთა განკაშენებული ჭალაკები.

თუმცა ასეა, ქართველს თავის დღეში არ უთქვამს უარი სომხის ძმობისა და ჩვენც ყოველთვის მზადა ვართ ხელი გავუწვდინოთ სომხის მოღვაწეებს საერთო მოქმედებისათვის, ოღონდ მარტო ოდენ ჩვენ დანახვას ნუ დასჯერდებიან, არამედ კიდეც გაგვიგონ. გულწრფელობა-კი ყოვლად საჭიროა; რადგანაც უამისოდ არაფერი აისხნება. ქართველთა და სომეხთა გვარტომობისა და კულტურის ერთობას ახლა მეცნიერებაც ადასტურებს, თუმცა ჩვენსა მატიანეში ამ ძმობის ალაგი უფრო ადრე აქვს. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს და ერთმანერთის გამოცნობისა და, სადაც საჭირო იქმნება, დათმობაც ვიცოდეთ. ვფიქრობ მე ამ შესაძლებელი ერთობის კვლავ ჩამოგდების აზრით გამსჭვალულმა, თუმცა გვიან სომხური ენა შევისწავლე და ჩემ თანამოკალმეებს, მეტადრე ახალგაზრდებს ძმურად ვურჩევ ქართველთა პუბლიცისტობის საჭიროებად დაისახონ სომხურის შესწავლაც, რომ ჩვენ და ტფილელმა სომხის პუბლიცისტებმა, რომელთაც მოშეტებულ ნაწილად ქართული კარგად იციან, ერთმანერთი კარგად გავიგოთ და შევისწავლოთ. სომხის ავტორს-კი დავარწმუნებ, რომ ჩვენც ვხედავთ ჩვენის ხალხის იარებსა და ცუდ ზნე-ჩვეულებას და ვცდილობთ მათგან თავის მორჩენას, განკურნებას, გაცდილობით, მის თანამემამულეთა არ იყოს, ევროპაელის განათლებით შეთვისებას, გვახსოვს რა მაინც ჩვენი ერის გამოვლილი საუკუნოებით ტანჯვა, ტყვეობა, მონობა, საუკეთესო ქალ-ვაჟთა [illegible] ძლევა და სხვა მრავალი ჭირი, რომელიც ენით არ ითქმის, ყურით არ გაიგონება და კალმით არ აიწერება.

კლდია.

უცხოეთი

ინგლისი. პრეტორიიდგან ატყობინებენ რეიტერის სააგენტოს, მიუხედავად იმისა, რომ საახალშენო დეპარტამენტი გამუდმებულად მუშაობსო, ახალშენების დასახლების საქმე მაინც ვერ მიდის კარგად, რადგან საჭირო მასალის მოზიდვა მეტად გასაჭირიაო.

— ლონდონიდგან იუწყებიან, რომ ბურების კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ შტეინი, ლუკა მეიერი, შალკბურგერი და სხვა სარდლები ბურებისა, მოხდება აგვისტოს 31 (ახ. სტ.) კრიუგერის აგარაკ „Oranjelust“-ში; ამბობენ, კრიუგერს არ მოსწონს ლუკა მეიერის საქციელი, კიტჩენერს რომ ხშირ-ხშირად ნახულობსო.

— გენერალ ბოტას ერთს ინგლისურს გაზეთის თანამშრომელთან ბაასის დროს განუცხადებია:

„ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ომის ისტორია ოდესმე მაინც დაიბეჭდება. ჩვენ სამივენი— დევეტი, დელარეი და მე—შევუდგებით მის შედგენას; თითო ჩვენგანი იმას დასწერს, რაც უნახავს და თავს გადაჰხდენია; შემდეგ ზედ დავურთავთ ყველა ოფიციალურ ცნობებს და საბუთებს, რომ წიგნში არავითარი სიყალბე არ შეეპაროს, და მხოლოდ მაშინ ექმნება მას ნამდვილი საისტორიო მნიშვნელობა. ბევრმა მოგვმართა, ჩვენ გამოვსცემთ თქვენს თხზულებასაო, მაგრამ ჩვენ ხომ ფულს არ მივსდევთ; ჩვენა გვსურს გამოვაამჟღავნოთ ის, რაც თავს გადაგვხდა. ვეცდებით წიგნის გამოცემა მომავალი წლისათვის მოვასწროთო“.

საფრანგეთი. ზოგიერთს გაზეთს მოჰყავს ცირკულიარი, რომლითაც ჰერცოგ ორლეანის საპოლიტიკო ბიურიას მიუმართავს როიალისტთა კომიტეტებისათვის. ცირკულიარი დიდს წინაღმდეგობას უცხადებს მთავრობას საკონგრეგაციო სკოლების დახურვის გამო და ურჩევს როიალისტებს, შეერთდნენ და მედგარი ბრძოლა გამოუცხადონ მთავრობას.

— ლემეტრს „Patrie Française“-ს ლიგის წევრთათვის მიუმართავს მოწოდებით, საკონგრეგაციო სკოლების სასარგებლოდ საერთოდ თხოვნა შევადგინოთ, ყველა დეპარტამენტში ხელის მოწერა გავმართოთ და, როცა მთავარ საბჭოთა სესსია გაიხსნება, მაშინ გადავცეთ კრებების თავმჯდომარეთაო.

გერმანია. გერმანიის ფინანსთა მინისტრს ფონ-რეინბაბენს, მგონივ, სიზმარშიაც არ მოელანდებოდა ის საქმე, რაც ცხადად მოუვიდა. აბა, რას წარმოიდგენდა, თუ ისეთი მაღალი წოდების კაცი უბრალო მოხელეს—საოლქო გადასახადთა დირექტორს—დაითხოვდა სამსახურიდგან და მთელს ჟურნალ-გაზეთობას მტრად გადაიკიდებდა. მერე, იცით, რისთვის დაითხოვა სამსახურიდგან ეს მოხელე? იმისათვის, რომ ცოლად მდაბიო ოჯახის შვილის შერთვა განიზრახა! საყურადღებო უფრო ისაა, რომ მინისტრს ეს საუცხოვო განკარგულება სხვისი ჩაგონებით მოუხდენია; მრჩეველად გასჩენია პოზნანის ობერ-პრეზიდენტი; ამ უკანასკნელისათვის კი ეს აზრი მე-5 კორპუსის უფროსს მიუცია. ეს ამბავი ნათელსა ჰფენს პრუსიის მოხელე საზოგადოების ცხოვრებაზედ შეხედულებას საერთოდ, და განსაკუთრებით იმ ნაწილისას, რომელსაც ვითომ-და „უმაღლესი“ კულტურა შეაქვს პოლონელთა პროვინციებში.

პოზნანის საოლქო გადასახადთა დირექტორმა ლენინგმა განიზრახა ცოლად შერთვა უბრალო მდივნის, რომელიც უწინ ფელდფებლად ყოფილიყო, ქალისა. მე-5 კორპუსის უფროსი, გაიგო თუ არა ეს ამბავი, ყალყზედ დადგა, როგორ თუ იმ საზოგადოებაში, რომელსაც მე ვეკუთვნი, ფეხი უნდა შემოსდგას ვიღაც ფელდფებლის ქალმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მშვენიერადაა აღზრდილი და უმაღლესად განათლებულიო.— ამ ჩინოსანმა ბოლოლამ არც აცივა, არც აცხელა, მოელაპარაკა ობერ-პრეზიდენტს, პოლიციის პრეზიდენტს, მერე სხვა უმაღლეს მოხელეთაც და აფრინა საჩივარი ფინანსთა მინისტრთან. მინისტრ ფონ-რეინბაბენმა ხელად აცნობა დირექტორს, რომ თქვენ სამსახურში აღარ დაგედგომებათ და უმჯობესია თქვენისავე ნებით დაანებოთ თავიო; სამაგიეროდ მიიღებთ პრუსიის ერთს უმაღლესს ჯილდოსაო. ლენინგი ჯერ უარზედ დადგა, ეგ უსამართლობა არისო, მაგრამ მინისტრის მოადგილემ შემოუთვალა, თქვენ სრულებით დაეცით მინისტრის თვალშიდ, რადგან დროზედ არ შეატყობინეთ თქვენი განზრახვა ფელდფებლის ქალზედ ჯვრის დაწერისა; ეს-კი იმას ნიშნავს, რომ თქვენი მოვალეობა კარგად ვერ შეგიგნიათო და ამისთანა კაცს ვერ დავსტოვებთ მაგისთანა დიდს ადგილზეო. ლენინგმაც, როგორც მოსალოდნელი იყო კეთილ-გონიერისა და პატიოსანის კაცისაგან, ზიზღით უარ-ჰყო მათი ჯილდოც, მათი „უმაღლესი“ საზოგადოებაც და გავიდა სამსახურიდგან. ამასთანავე ლენინგმა განუცხადა სამინისტროს, რომ არა მარტო მე, არამედ დიდი უმრავლესობა უმაღლესისა და საშუალო წოდების მოხელეთა, ჰკიცხავს და აძაგებს პოლონელთა წინააღმდეგს მოძრაობას მათსავე პროვინციებშიო. გახსოვდეთ, რომ თქვენს პოლონელთადმი სიმძულვარეს პოლონელთა შორის მყოფ გერმანელებისათვის მეტი ზარალი მოაქვს, ვიდრე თვით პოლონელთათვისაო.

გერმანული გაზეთობა მეტად გააცხარა და გააბრაზა რეინბაბენის განკარგულებამ; განა „დიდი“ შტეკერი—სასახლის ყოფილი ისტორიკოსი და ვილჰელმ I-ის უსაყვარლესი კაცი—ფელდფებლის შვილი არ იყოო; ჩვენ ბევრის წარჩინებულ სახელმწიფო მოღვაწის დასახელება შეგვიძლიან, რომელნიც მდაბიო ოჯახიდგან გამოსულან; რამდენი დივიზიის უფროსია უბრალო დედმამის შვილი და განა ეს გარემოება ამცირებს მათაო.

სხვა-და-სხვა წერილები

„შავის-ქვის ბურჯი და სვეტი“

(ზოგიერთის პუბლიცისტის საყურადღებოდ)

(შემდეგი *)

ამხანაგობის დღევანდელ მოხელეების დაწუნება ბ-ნს ქვარიანს დავთრებს უბნევს და აი რას გვეუბნება: „ხარჯები არამც თუ შეამცირეს, არამედ თითქმის მეტი (?) მოსდით, ვინემ გამგეობით მოუხდებოდაო?“ ესეც ბ-ნ სვ. ქვარიანის ცილის წამებაა.

ბ-ნი სვ. ქვარიანი, არა-თუ წესდებას არ კითხულობს და, თუ კითხულობს, ვერ იგებს, და თუ იგებს, ფაქტებს ამახინჯებს ცილის წამების აზრით, თავის ხელით დაწერილ ოქმებსაც-კი ისე თურმე სწერდა, რომ არც-კი ახსოვს, რასა სწერდა, ან ვერ იგებდა.

1901 წლის 9 დეკემბრის ოქმში მოყვანილია ხარჯთ-აღრიცხვა ამხანაგობის საქმეთა გამგეობისა. ეს ხარჯთ-აღრიცხვა შეიცავს 30,900 მანეთს, საიდგანაც ამხანაგობის თავმჯდომარის მაგიერს ეძლევა 3,000 მან., გამგეობის თავმჯდომარეს 2,500 მ. ორ გამგეს 4,000 მან. ბუჰალტერს 2,000 მან., მოლარეს—1,200 მან. და სულ ამ მოხელეებს 12,700 წელიწადში. ახლა-კი ბ-ნ ქვარიანს არითმეტიკის ცოდნა უნდა დავუწუნოთ, თუ სხვა არაფერი. „სამ ბანკირს“, მათ ბუჰგალტერს და კასსირს ეძლევა თვეში 350 მანეთი, წელიწადში 4200 მან. ე. ი. მესამედზედ ნაკლები იმისა, რაც დანიშნული აქვს ამავე მოხელეებს იმ ხარჯთ-აღრიცხვით, რომელიც ბ-ნ სვ. ქვარიანის მდივნობის დროს არის შემუშავებული.

ანა და იქნებ ბ-ნ სვ. ქვარიანი იმას ბრძანებს, გამგეობის წევრებად ამ ფულით ისეთს კაცებს ამოირჩევდნენ, რომელთაც თავზედ მზის ჯილა ექმნებოდათ. შეიძლება მაგისთანები იმ ქვეყანაში იყვნენ, სადაც ბ-ნ სვ. ქვარიანი ხშირად დაბრძანდება თავის მერანით „სიზმარეთში“, მაგრამ ჩვენ უბრალო მოკვდავთ იქ ადგილი არა გვაქვს. ესკი ვიცით, რომ სთხოვეს ერთ კაცს, ჩვეულებრივს, თუმცა ყოველისფრით რიგიანს, გამგეობის წევრობა, და იმდენი ჯამაგირი მოითხოვა, რასაც „სამი ბანკირი“ ერთად იღებს და ჭიათურაში ცხოვრებაზედ უარი განაცხადა. მისი მოთხოვნილება სრულიად სიმართლიანი და კანონიერიც იყო. კაცს უსწავლია, სურს თავისი სწავლა გამოიყენოს და ნუთუ ჭიათურაში იმისთვის უნდა ჩამოვიდეს, რომ პერანგის გამოსაცვლელი ფულიც ვერ იშოვოს. ჩვენს ღარიბსა და წელში გაწყვეტილ ქვეყანაში ასი მანეთი თვეში ას თუმნად მიაჩნიათ, მაგრამ ბ-ნმა სვ. ქვარიანმა, ევროპაში ნამყოფმა და „განსწავლულმა“ „შავი ქვის საქმეების ბურჯმა“ ნუ თუ ის არ იცის, რომ ასი მანეთი განათლებულის კაცისათვის ჭიათურაში მათხოვრის ჯამაგირია?! ის მაინც უნდა იცოდეს რომ „მანგან-სინდიკატის“ წარმომადგენელი ათას თუმანს (10,000 მან.) იღებს წელიწადში და მისი შრომა ათჯერ უფრო ნაკლებია და უფრო წმინდა „ჭიათურის ბანკირების შრომაზედ“. მაგრამ იქ ხომ ევროპიული განსხვაა საქმისა და ბ-ნი ქვარიანი, ევროპაში თუმცა ბრძანდებოდა, მაგრამ ვერა გამოუტანია-რა იქიდგან. ამას ამტკიცებს მისი... საქმის ცოდნას ვინ სჩივის, ანბანის უცოდინარობა და სულ უბრალო ანგარიშის არ ცოდნა.

> „იმ სამ ბატონს და მის ამალას, რასაკვირველია, არაფერი გაუკეთებიათ, ამას თამამად იტყვის ბ-ნი ქვარიანი 1)“.

ან-კი სითამამეს რა მოუშლის დალოცვილს? თუ იმას თამამად ამბობს, რომ 11 თებერვლის შემდეგ გამოიცვალა წესდება, რომელიც უკანასკნელის რედაქციით 9 თებერვალს დამტკიცდა; თუ რომ იმას ამბობს, რომ თვეში 500—600 მანეთის ხარჯი მეტია თქვენი 2,500 მანეთის ხარჯზეო, რატომ იმას არ იტყვის **თამამად**, რომ არა გაუკეთებია-რა ამ სამ ბატონს და მის ამალასაო!

მაგრამ ნუ-თუ **ორიოდე ქცევა მარგანეცის** შეძენა, როგორც თვით ბრძანებს ბ-ნი სვ. ქვარიანი, არაფერს შეიცავს და მართლაც „სახეში მისაღები არ არის“; ნუ-თუ არაფერია ის, რომ ამხანაგობას უწყვია თავისს ბაქნებზედ (ამაზედ-კი ენა მქევრი პოეტი არას გვეუბნება) ორ მილიონ ფუთ მადნამდის, საუკეთესო ღირსებისა მთელს ჭიათურაში და ესეც მაშინ, როდესაც მტერი და მოყვარე ყველა ხელს უშლის ამხანაგობას?! მოყვრები იმერულად, იმ პრინციპით, რომ ოღონდ ჩემი ძმა ნუ გაკეთდება და მე, თუ გინდ დავილუპოვო, ხოლო მტრები-კი ალესილნი არიან, რა-კი ჰხედვენ, რომ ამხანაგობის საქმე კარგად არის დაყენებული და ექსპორტერთა ჩარჩობას ნიადაგი ეკარგება.

„შეუკრეს ხელ-ფეხი წევრებს, გამოიწვიეს მათ შორის ჩუმად გარეშე პირებზედ ქვის გაყიდვაო“. აბა, მიბრძანოს ბ-ნმა ქვარიანმა, ვის, რომელ მრეწველს უთხრეს უარი ბაქნებზედ ადგილი არა გვაქვს და ნუ მოიტანთ ქვასაო. არა, ბ-ნი ქვარიანი განზრახ ცილს სწამებს ან და, როგორც პოეტი, ოცნებობს. საქმე მაგაში-კი არ არის. ამხანაგობის ბაქნებზე კარგ ქვას იღებენ, რადგანაც ამას აძალებს პირობა გერმანელთა სინდიკატთან და ამასვე აძალებს ამხანაგობის წესდება. გამგეობა ასრულებს ამ მუხლებს კანონიერად და საქმის წარმატების სურვილით. 1-ი მუხლი ამხანაგობისა პირ-და-პირ ამბობს, რომ ამხანაგობას აზრადა აქვს **მადნის ღირსების გაუმჯობესობაო** და მათგან სინდიკატთან პირობაში-კი ამხანაგობას ნაკისრები აქვს ისეთის მადნის დამზადება, რომელშიაც 48—50% მეტალი იქნებაო.

გამგეობამ-კი გამოცდილებით (უნივერსიტეტში გაკეთებულის ანალიზებით) დაახლოებით იცის, როგორის ღირსების ქვას (გარეგანის მხრით) რამდენი % აქვს და ამის და მიხედვით თხოულობს ქვას, მაგრამ, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ბ-ნი ქვარიანი, კაცი „რომელსაც განსაკუთრებით მიენდო ხალხი და სხვ.“, არა ჰრაცხს საჭიროდ არა თუ რაიმე ცოდნას და გამოცდილებას (ეს ხომ მეტი ბარგია), პირობასაც-კი არ გადაათვალიერებს და პირობის პირველ მუხლსაც-კი არ კითხულობს და არ იხსომებს მის შინაარს. ჰგონია აქაო და პოეტი ვარო, როგორც ლექსთა თხზვა, ისე შემიძლია ცილის-წამების შეთხზვაცაო. მაგრამ ბ-ნ ქვარიანის ცილისწამებაც ისეთის ღირსებისაა, როგორც მისი ლექსები.

> დაარსეს საერთო საწყობი, სადაც დატრიალდა ნათელ-მირონობის ჩარხი (sic) და რითაც გამოიწვიეს დიდი უკმაყოფილება. დღემდე თითქმის გაჩერებულია ეს ორასი მრეწველი და გულზე ხელდაკრეფილნი შაჰ (?) ყურებენ საწყლად ბუნდოვან მომავალს.

ისეთ ბრალდებაზედ, როგორიც „ნათელ-მირონობის ჩარხია“, აბა, რა გვეთქმის, ან რა პასუხი უნდა გასცეს კაცმა? *)

ამხანაგობაში სულ 180 კაცამდეა. ამ ასოთხმოცში ოთხმოცდა ათი ქვას ეზიდება საერთო საწყობზედ. მაშ, რაღა საბუთით ბრძანებს ბ-ნი ქვარიანი, რომ ეს **ორასი** მრეწველი (ე. ი. ამხანაგობის ყველა წევრზედ კიდევ მეტი) გულ-ხელ-დაკრეფილნი შეჰყურებენ საწყლად ბუნდოვან მომავალსო? ორასი სულ არ ყოფილა. ოთხმოცდა ათი ეზიდება ქვას საერთო საწყობზედ, მაშ ორასი „შემყურებელი“ სადღა არიან? მაგრამ ეს ხომ ვიცით, რომ ქვარიანმა არითმეტიკა არ იცის. ასი ორასად გვიჩვენა (ას ოთხმოცს რომ ოთხმოცდა ათი გამოაკლო, ასი კიდევ არ დარჩება, არამედ 90).

მაგრამ ეს კიდევ არაფერი აბა, გულზედ ხელი დაიდვას ბ-ნმა ქვარიანმა (თუგინდ თვალს ზეცას ნუ მიაპყრობს, როგორც მუზის არშიყი) და გვითხრას. მართლა „გულ-ხელ დაკრეფილია ეს ასი კაცი“. არა, ამ ასმა კაცმა ისარგებლა შემთხვევით, ექსპორტერების კონკურენციით და სხვაგან დააქცა ქვა, მაგრამ ეს ჩვენ შორის დარჩეს. რატომ შვრებიან ამას? ამხანაგობის ბაქნებზედ „მაზანდაზედ“ იძლევიან, მაგრამ კარგის ღირსების მადანს იღებენ. მარეწარი ამხანაგი-კი ამ „მაზანდაში“ სხვაგან ზიდავს ისეთს ქვას (ღირსებით მდარეს), რომელსაც ამხანაგობა არ მიიღებდა თავისს ბაქნებზედ. ამგვარად ის პირობას არღვევს, ხელს უწყობს ექსპორტერების კონკურენციას, მაგრამ ამას რას დაეძებს, ის დღეს დღეობით სარგებლობს, ამხანაგობას-კი ძირს უთხრის. და აი ამხანაგობის ასეთს მტრებს ბ-ნი სვ. ქვარიანი, „რომელსაც განსაკუთრებით მიენდო და სხვ.“ გვიხატავს პოეტურად, „გულ-ხელ დაკრეფილ შემაცქერლად ბუნდოვანის მომავლისა“.

ეხლა ესეც ვიკითხოთ, თუ საერთო ბაქნებზედ „ნათელ-მირონობის ჩარხი ტრიალებდეს“, განა ეს ვაჟბატონები სხვაგან წავიდოდნენ და პირობას დაარღვევდნენ? არა, სწორედ იმიტომ, რომ ამხანაგობის ბაქნებზედ „ნათელ-მირონობას“ ადგილი არა აქვს, სწორედ იმიტომ, რომ იქ სასტიკი კანტროლია, იმიტომ გაურბის ზოგიერთი, რათა სხვაგან გაასაღოს ნაკლების ღირსების ქვა. ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ოთხმოც და ათში, რომელიც საერთო ბაქანზედ არ ჰზიდავს, ოც და ათი და ორმოცი, თუ გარეწრობს, ღალატობს პირობასა და ამხანაგობას, დანარჩენთ ან არა აქვთ მუშაობა, ან გაჩერებულნი არიან, იმიტომ-კი არა, რომ საკუთარი ბაქანი არა აქვთ და არც იმიტომ, რომ გაყიდულება არ არის. არა, ელის და სრულიად სამართლიანად იმ მომენტს, როცა უფრო კარგად გაასაღებს ქვას, თუ გინდ ნაკლების ღირსებისაც. ქვემოდ ბ-ნი ქვარიანი იმასაც ამბობს, რომ „ეს ბატონები... ჯგუფებს დღემდე არ აძლევდნენ ნებას ჰყაროს ქვა თავიანთ საწყობზედაო, შეუკრეს ხელფეხი წევრებს, გამოიწვიეს მათ შორის ჩუმათ გარეშე პირებზედ ქვის გაყიდვაო და სხვ.“ თითქო ეს თავის საწყობზედ ქვის ყრა იყოს ქვა-კუთხედი საქმის რიგიანად წაყვანისა.

ბ-ნმა ქვარიანმა უთუოდ არ იცის, რომ კერძო საწყობზედ ზიდვა 19 ჯგუფიდგან ხუთსაც არ უნდა. როდესაც ერთ კრებაზედ ალიძრა ლაპარაკი კერძო ჯგუფებისთვის საწყობების მოპოების შესახებ, ხუთმა ჯგუფმაც არ მოინდომა კერძო საწყობზედ ზიდვა. დანარჩენმა დიდმა უმეტესობამ განაცხადა, საერთო ბაქანზედ ვზიდავთ, ან სხვებს შევუერთდებითო.

უმეტესობას საკუთარი ბაქანი არ უნდა, რადგან დიდ ხარჯს თხოულობს (სასწორი, მწონელი, კონტროლი და სხვ.) და ცოტა მუშაობა აქვსთ. გარდა ამისა ერთად ვერ თავსდებიან ამხანაგები და ჯგუფებიც არ ეპყრობიან ერთმანერთს ნდობით, რის გამოც არჩევენ გამგეობის კონტროლს. თვით ბ-ნი ქვარიანიც ფიქრობს იმ ერთზედ, რომელმაც ცალკე დაიწყო მიღება ქვისა, რომ „ოხრის ფასად“ „ოქროსავით ქვას ღებულობსო“. მაგრამ ესეც ისეთივე შეთხზულია, როგორც ყოველივე სხვა. ამ ერთს ამხანაგობის ბაქნების დაარსებიდგან (ე. ი. თითქის იმ დღიდგან, რაც ჭიათურაში წრეულს მუშაობა აიძრა) ერთი გირვანქა ქვაც არ მიუღია „მაზანდაზედ“ ნაკლებ ფასში, ყოველთვის იმ ფასს იძლევა, რასაც ამხანაგობის საერთო ბაქანზედ იძლეოდნენ და ხშირად მეტსაც. არასოდეს ამ დროში ამ ერთის ქვა არ ყოფილა ისეთი, როგორიც საერთო ბაქანზედ მოდიოდა, ღირსებით ყოველთვის ცოტა უფრო მდარე იყო. ხოლო ეს ორი თვეა მუშაობა შეჩერებულიცა აქვს. თუ „ოხრის ფასად“ „ოქროსავით ქვას“ ღებულობდნენ და „უსაზღვრო კრედიტი ჰქონდესთ“, ამ დროს მუშაობას არ შესწყვეტდნენ. ზაფხულის სამი თვე საუკეთესო ხანაა მუშაობისა და არც ერთი საქმიანი მრეწველი მუშაობას არ შესწყვეტს, თუ დიდი გაჭირვება არ ადგია). მაშ, ესეც ცილის წამებაა.

აი ამგვარის ექვების, ასეთის კინკლაობის ასაცილებლად ყველანი ჰხედავენ სარგებლობას საერთო საწყობისას გარდა იმათისა, რომელნიც „დოსაც-კი უმარილობას სწამებენ“.

გარეთ დარჩენილნი მრეწველნი, რასაკვირველია, სარგებლობენ შემთხვევით, მაგრამ აქაც ხომ იმერული პრინციპია, ჩემი მეზობელი ნუ გაიხარებს და თუ გინდ მე დავილუპოო. ამხანაგების ბაქნების დაარსებამ გამოიწვია საშინელი კონკურენცია უცხოელ ექსპორტერთა მხრივ. უეცრად ფასები ასწიეს, ქვის ღირსების მოთხოვნილება შეამცირეს. ასე რომ შარშან ამ დროს რომ ექვს კაპეიკს აძლევდნენ ფუთში, დღეს იმისთანა ქვაში 8—9 კაპეიკს აძლევენ და შარშან სულაც არ მიიღებდნენ ისეთს ქვას, როგორსაც წრეულს 7—8 კაპეიკად ჰყიდულობენ.

კი, მაგრამ ამით რა წააგეს „ამხანაგობის“ წევრებმა? ამხანაგობის ბაქნებზე ქვას იღებენ იმავე მაზანდით, $7^1/_2$, $8, 8^1/_2$ კაპეიკად. მართალია, ქვას უკეთესს თხოულობენ, მაგრამ სამაგიეროდ ბაქანი იმათია და ეგრედ წოდებულ „სკიდკა“ მათია. გარდა ამისა ქვა გაიყიდება თუ არა, მოგებაც ნახევარი იმათია. ამას ეძახის ბ-ნი ქვარიანი მრეწველთა დაღუპვას. ბ-ნი ქვარიანი ყოვლის მცოდნეა. ცოტა ანგარიში ეშლება მხოლოდ, არ იცის, რომ 11 რიცხვი თვისა 9 რიცხვის შემდეგ არის; არ იცის, რომ 180 ას ოთხმოცია და არა ორასი, რომ 180-დგან თუ 90 გამოაკლდით, 90 დარჩება, და არა ორასი. წესდების მუხლების გაგებაც უჭირს, მაგრამ ეს რა არის მდიდარ ფანტაზიასთან. ოჰ, ყოვლის „მომგონია“ პოეტი და წინასწარმეტყველურის რწმუნებით გვაუწყებს: „დღეს გათავდა მწვავე კრიზისი... გათავდა ფული, აიწია საგრძნობლად რკინა-ფოლადის ფასებმა (მარგანეცის ფასმა რაღა ჰქნა?) ეს ცვლილება დაეტყო შავ-ქვასაც (რაში, როგორ და რა ნაირად?)

ბ-ნ ქვარიანის სტატისტიკური ცნობებიც „სიზმარეთშია“ მოკრებილი, ხოლო ნამდვილი-კი ის არის, რომ შავი-ქვის ფასები ისევ ისეთია, რაც შარშან იყო 8,75—9 პენსამდის. ამ ფასში გაყიდულ ქვას ჭიათურაში მოსდის ფუთზედ $6—6^1/_2$ კაპეიკი, ახლა დავეკითხოთ ბ-ნ სვ. ქვარიანს: შესაძლოა თუ არა სინდიკატმა გაჰყიდოს ქვა $6—6^1/_2$ კაპეიკად, მაშინ, როდესაც თვითონ უზის, 6,75—7 კაპეიკად. თუ დღევანდელი ექსპორტერები ჰყიდიან ასე ქვას, იმიტომ, რომ შარშან იგინი ქვას „ოქროსავით ქვას“ იძენდნენ ფუთს (წმინდა წონით) 4—5 კაპეიკად *), ამით, რასაკვირველია, ხელს მისცემს $6—6^1/_2$ კაპეიკად ქვის გაყიდვა, სინდიკატისავის-კი ეს შეუძლებელია.

მართალია, ოქმიც არსებობს წარმომადგენელთა, სადაც მარგანეცის ბურჯსა და სვეტს ხელი უწერია, და სადაც გარდაწყვეტილია $5^1/_2$ კაპეიკად გაიყიდოს ქვაო, მაგრამ ეგრე რომ მოქცეულიყო გამგეობა, სწორედ მაშინ იქმნებოდა ჩასაქოლავი გაჩერება მაშ ჯერჯერობით არ არის საზიანო ამხანაგობისათვის და გაჩერება, მოთმინება და ცდა-კი არ დალუპავს ამხანაგობას, ამხანაგობას ლუპავს და

---

*) იხ. „ივერია“ № 163.

1) ხუთი იყო ამორჩეული, ორი რაღა იქმნა? ბ-ნმა ქვარიანმა გადაყლაპა, ანა და უთუოდ ხუთში მარტო ორის ხმა უნდა გავიდეს და არა სამისა? ეს მაშინ იქმნება, როცა ბ-ნი სვ. ქვარიანი ახალ ორგანიზაციას გამოიგონებს კოლეგიურ დაწესებულებათათვის.

ავტ.

*) ამას რომ გავჰყვეთ, უფრო საფუძველი გვექმნებოდა გვეთქვა: აბა, რა საქმე მიენდობა ისეთს კაცს, რომელმაც საკანცელიარო ხარჯებს 700 მანეთი მოანდომა და ხარჯის გასამართლებელი საბუთებიც ვერ წარმოუდგენია, ბ-ნ სვ. ქვარიანის ჰანგზედ რომ ვიყოთ მომართული, უფრო ადვილი სათქმელი იქნებოდა, რომ ეს ფული „ნათელმირონობის ჩარხმა“ დანთქათქო, მით უმეტეს, რომ კანცელარიის ხარჯის (ქაღალდის, კალმის, მელნის და სხვ.) წყარო კიდევ სხვა იყო.

ავტ.

*) ჭიათურის ბაქნებზედ ქვა მოაქვსთ ურმითა და ცხენით სასწორზედ, როცა ასწონიან „სკიდკას“ იტოვებენ 12 ფუთში 2 ფუთს ანუ 26%-ზე მეტს. ასე, რომ ბაქნის პატრონი ნამდვილად ყიდულობს 12 ფუთს და ანგარიშობს-კი ათ ფუთად. ასე რომ, თუ ფუთში აძლევს 6 კაპ. 10 ფუთში 60 კ. გამოდის, რომ ნამდვილად 12 ფუთში მისცა ეს 60 კ., ე. ი. ფუთი უჯდება თვით მყიდველს 5 კაპეიკად.

ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწას გამოუთხრიან ფეხ-ქვეშ ის მრეწველები, რომლებიც ბ-ნ სვ. ქვარიანის ოცნებაში „გულხელ დაკრებილნი შეჰყურებენ“ შავი ქვის საზოგადოების „ბუნდ მომავალს“, ხოლო ნამდვილად-კი თავისის გარეწარის მოქმედებით ხელს უწყობენ დღეინდელ ექსპორტერებს. მათის შემწეობით ექსპორტერები გაყიდულობის პირობას ყოველთვის შეასრულებენ. რომ ამხანაგობის წევრნი საქმეში ჩაიხედავდნენ, ექსპორტერებს ხელს აღარ მოუწყობდნენ, დღეინდელი ექსპორტერები ვეღარ იკისრებენ 18—20 მილიონ ფუთის წინდაწინ გაყიდვას. მაგრამ ექსპორტერებმა იციან, რომ ბ-ნ სვ. ქვარიანისთანა ხალხის მოტრფიალე მგოსნები ჩვენ არ გამოგველევიან და სიცილად არა ჰყოფნით „ამხანაგობის“ საქმე.

ყოველს შემთხვევაში „შავი ქვის ამხანაგობამ“ და მანგან-სინდიკატმა ისე დააყენა საქმე, რომ აწი აქაურ ექსპორტერს აღარ შეეძლება ქვა ისე მუქთად იშოვოს და მუქთადვე გაასაღოს მსოფლიო ბაზარზედ და განა ესკი ცოტა საქმეა?

ეხლა ვკითხოთ ბ-ნ სვ. ქვარიანს: ნუ თუ „უმოქმედობით გმინავს ამხანაგობა“, რომელსაც „ოციოდე ქცევა მადნიანი მიწა შეუძენია (თუ ბ-ნი სვ. ქვარიანი ორას ჰხედავს იქ, საცა ორმოცდა-ათია, რატომ ორმოცი და მეტი არ დაინახა იქ, საცა ორმოცზე მეტია); ორ მილიონამდე საუკეთესო ქვა მიუღია თავისს საწყობზედ; ქვის ფასი უცბად აუწევია $7,7^1/_2$, 8 და 9 კაპეიკამდე, ქვის ღირსების მოთხოვნილება აქ მაღლდება, და ექსპორტერები ისეთ გარემოებაში ჩაუყენებია, რომ ვერ იყიდიან იაფად ქვას და ვეღარც იაფად გაჰყიდიან, და ნუ თუ „უფულობით კვნესის ამხანაგობა, რომელსაც 350,000 მანეთი ჩაუბარებია წევრთათვის ზოგი ავანსად საქმის მოსაწყობად, ზოგი მიწების შესაძენად და ზოგიც ქვის ფასად?

კიტა აბაშიძე.

(დასასრული იქნება)

თეატრი და ხელოვნება

წარსულს თვეში ბ-მა ნ. დ. ჯანდიერმა გამოუგზავნა ჩვენს რედაქციას სარეცენზიოთ მისგან ახლად დაწერილი ლეკური, რომელიც ფორტეპიანისათვის არის შედგენილი. ბ. ჯანდიერის ლეკური სრულებით არა ჰგავს არც ფუღინოვის და არც ყორღანოვისაგან შედგენილს ლეკურს და, ჩვენის აზრით, ეს ახალი ლეკური უფრო ხელოვნურად არის შედგენილი, ვიდრე ძველი ავტორებისა.

რადგანაც ნამდვილი ლეკურისათვის აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს სალამური, დუდუკი, დაირა და დაფა, ამისათვის „ივერიის“ ერთმა თანამშრომელმა მიჰმართა ბ-ნს სერბულოვს, რომ მას ორკესტრისათვის გარდაეღო ბ. ჯანდიერისაგან დაწერილი ლეკური. ბ-ნ სერბულოვს უკვე უნებებია თხოვნის აღსრულება და მომავალს კვირას, ესე იგი მარიამობისთვის 4-ს საზაფხულო „კრუჟოკში“ სერბულოვის ორკესტრი დაუკრავს ბ-ნ ჯანდიერის ახალს ლეკურს.

კრუჟოკში დიდ-ძალი ხალხი დაიარება და მათ შორის მუსიკის მცოდნენიც, რომელნიც ჯეროვანად დააფასებენ ბ-ნ ჯანდიერის სამუსიკო შრომას.

—

მატანი (თიანეთის მაზრა). 17 მკათათვეს ქართულის სცენის მოყვარეთაგან ბ. აჯიმამუდოვის და ვ. გოგოლაძის თაოსნობით წარმოდგენა იქმნა გამართული. წარმოადგინეს სამ მოქმედებიანი კომედია ა. ცაგარლისა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი კ. ნ. და ე. გოგოლაძენი, ბ. ა. ჩხეიძე, შ. გ. ქ. და ა. ჩოლოყაშვილები. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო; ყველანი დიდად ნასიამოვნებნი და კმაყოფილნი დარჩნენ. თუმცა მონაწილეობას იღებდნენ სცენის გამოუცდელები, მაგრამ წარმოდგენამ მაინც საუცხოვოდ ჩაიარა. წარმოდგენა იყო გამართული თიანეთის უფასო სახალხო სამკითხველო-ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. მოთამაშეებმა თავიანთი როლები კარგად შეასრულეს, მაგრამ უფრო კარგნი იყვნენ ბ. მ. აჯიმამუდოვი და ვ. გოგოლაძე.

დ. გოჯიაშვილი.

ბიბლიოგრაფია

მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ დეკანოზის პეტრე დავითის ძის კონჭოშვილისა. ტფილისი 1891 წ.

ამ წიგნის შესახებ ა. ხახანაშვილმა რუსულს ეიურ ჟურნალში (საისტორიო მოამბეში) დაბეჭდა შემდეგი შენიშვნა: „მოგზაურობათა ლიტერატურა წმ. ადგილებში გამდიდრდა პატიოსანის შრომით, რომელიც ეკუთვნის დეკანოზს პეტრე კონჭოშვილს; დამსახურებულს დეკანოზს 40 წელიწადი გაუტარებია ეკლესიის სამსახურში და 35 წელიც ქრისტეს სარწმუნოების სადმრთო სჯულის მოძღვრების სწავლებაში. მისწრაფება ჰქონია მას, რომ თვისის თვალით ენახა ის ადგილები, სადაც განხორციელებულმა ღმერთმა იქადაგა, მიიღო ჯვარცმითი ტანჯვა და სიკვდილი, აღსდგა და ამაღლდა ზეცად. დეკანოზი პ. კონჭოშვილი ღირს-იქმნა განეხორციელებინა თვისი წმ. წადილი და გამოსცა აღწერა თვისის მოგზაურობისა პალესტინასა და ათონზე, რათა მისცეს შეძლება ქართველ ერს გაეცნოს ქრისტიანობრივ სიწმიდეთ. დეკან. პ. კონჭოშვილის წიგნი დაწერილია ადვილ გასაგებ ენით, მხურვალე გრძნობით, გულწრფელად და მიიზიდავს მკითხველის ყურადღებას. მის წინა დროს მოგზაურნი ტიმოთე და იონა მიტროპოლიტნი-კი სწერდნენ მძიმე ენით, რის გამო მათი თხზულებები მოგზაურობანი პალესტინას მდაბიო ერს ვერ ახალისებენ. ამ მხრივ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ ქართველ მეცნიერთა შრომანიც. დეკანოზს კონჭოშვილს დაუცავს სიმართლეც და მეცნიერული მხარეც. ბეთილ-სინდისიერად აღგვიწერს ღირს-შესანიშნავ ძეგლებს აღმოსავლეთის ქრისტიანობისას და გვაცნობებს შესაბრალისს მდგომარეობას იქაურ ქართველთა ეკლესიათა და სავანეთ, რომელნიც ოდესმე აყვავებულნი იყვნენ, ხოლო აწ მიტაცებულ არიან ბერძენთა, რომის კათოლიკეთა და გრიგორიანთა მიერ. აღწერა მამა კონჭოშვილის მოგზაურობისა პირველად დაიბეჭდა „ივერიის“ კაბადონებზედ 1899 წელს, ხოლო ახლა შესანიშნავის დამატებით და თავებად დაყოფით დაბეჭდილ იქმნა ცალკე გამოცემად. მთელი წიგნი შეიცავს 54 თავს არა ცუდად შესრულებულ სურათებითა. ნაშრომი ავტორისა გვაცნობებს ჩვენ მისს მოგზაურობას ტფილისიდგან კონსტანტინოპოლამდე (ოდესით) და შემდეგ იერუსალიმს მისის მიდამოებით და ათონზედ ყველა მონასტრებს. ავტორი ყველაზედ მომეტებულად მწუხარეობს მიტაცებას ათონის ივერიის მონასტრისას ბერძენთაგან, იმ მონასტრისა, რომელიც არის დაფუძნებული ქართველებისაგან მეათე საუკუნეში; სწუხს კვლავად მასზედ, რომ როგორც ათონს, ისე პალესტინას მოსპობილ არიან ქართველთა მოღვაწეთა კვალნი (წარწერები და მხატვრობისანი) და ეს მომხდარა მაშინ, როდესაც საქართველოში არეულობა იყო (რუსეთთან შეერთების წინა ჟამს). ეს მონასტრები დაფუძნებულ ყოფილან შრომითა, ღოცვითა და საფასითა ქართველთა მეფეთა, მთავართა და ღვთის-მსახურთა მოღვაწეთა. რუსულს მწერლობას არა ერთხელ მიუქცევია ყურადღება აქაურ ქართულ სიწმიდეთა უნუგეშო მდგომარეობისთვის, გარნა ჯერ ბევრი არა გაკეთებულა-რა მათ უკეთ მოსაწყობად.“ ხახანაშვილის ამ შენიშვნამ აღგვიძრა სურვილი პ. კონჭოშვილის წიგნის გაცნობისა. მელნით-კი არა, ცრემლით და სისხლით დაწერილი ყოფილა კონჭოშვილის წიგნი. დეკანოზი პეტრე დიდი მცოდნე ყოფილა დაბადებისა და საეკლესიო წიგნებისა. წიგნს შინაარსის შესაფერი აქვს გარეგნობაც: კაი სქელი თეთრი ქაღალდი, სხვილი ასოები და არა დასაწუნებელი სურათები. ამასთანა საუცხოვო სუფთა გამოცემა მარტო ორიოდე მოიპოვება ჩვენს ენაზედ. ავტორს არა დაუზოგავსრა თვისის წიგნის შემკობისათვის. წიგნის ფასი ერთი მანეთი ძლიერ იაფია. ჩვენში-კი არა, სხვაგანაც არა ჩვეულებრივია ასე კარგი და იაფი გამოცემა. ეს წიგნი ყოველ ჩვენებურ შეგნებულ მღვდლის ბიბლიოთეკაში უნდა მოიპოვებოდეს.

საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ ოქმულის დასასაბუთებლად ორიოდე ადგილი მამა კონჭოშვილის წიგნიდგან. არა-სასურველი ჩვენთვის დამოკიდებულება არსებულა ივერიის მონასტრის ბერძენთა და ქართველთა სავანის ძმათა შორის: „ქართველთა ძმათა ათონის სავანეს ბერძენნი სთვლიან კუდლიად; აქაურის წესით, ქართველთა ძმათ არ შეუძლიანთ ჰყავდეთ მომეტებულ სამ მღვდელ-მონაზონისა. ნება არ მისცა ივერიის მონასტრის კრებულმა ქართველ ძმათა სავანეს, რომ გუმბათი დაადგან ეკლესიას. მონასტრის შიგნით ეზოში ბერძნის ბერებმა, ვითარცა ხატის მბრძოლთა, აუგლიჯეს ქართველებს ხატი წმ. იოანნე ღვთისმეტყველისა. ნებას არ აძლევენ ქართველთა ძმათ გამოიყვანონ წყალი მილით. ზაფხულობით ეს მცირე ნაკადული შრება, პირუტყვნი აუწმინდურებენ. ამგვარს შევიწროებაში არიან ქართველნი ძმანი ბერძნების მონაზონთაგან, და ყოველივე ამას სულგრძელებით ითმენენ. მე-XIX საუკუნის დასაწყისს, როდესაც საქართველოში არეულობა იყო, ძალ-მომრეობით გამოსდევნეს ბერძენთა ჩვენი ძმანი ქართველნი და დაიპყრეს, ვითარცა ავაზაკთა, ჩვენი დიდებული ივერიის მონასტერი“ (161 გვ.). ჩვენის აზრით ათონის ივერიის მონასტრის ბერძნებისაგან დაბრუნების საქმეს დააჩქარებდა, რომ რომელიმე ფხიანი მაღალის განათლების მქონე მღვდელ-მონაზონი ქართველი ჩარეულიყო საქმეში.

იაკობ ფხაკაძე.

„ივერიის“ ფოსტა:

ნახახულევი ვ. მ—შვილს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 აგვისტო

პეტერბურგი. პეტერბურგს მოვიდა რომს მყოფი რუსის ელჩი ნელიდოვი. 1-ლს აგვისტოს ცარსკოე-სელოს შვიდი ალლუმი იყო. ჯარი დაბრუნდა თავის ბინაზე.

ლევევანი. კონგრეგაციის სასწავლებელნი პლუგონვერსა და პლუმოგერს დაუქმდა ჯარის-კაცთა ერთის რაზმის დახმარებით.

ბრესტი. მორლეი-გუეზის სკოლების დაუქმების დროს ქვით დაჰრილ იქმნენ კომისარი და ორი ჟანდარმი.

ვარშავა. აქ არსდება ორკლასიანი საქალებო სკოლა, საცა უნდა ასწავლონ ფრანგული, გერმანული და ლათინური.

ნებადართულია, იბეჭდებოდეს ყოველკვირეული ჟურნალი «Международный курьеръ Объявленій».

კრონშტადტი. დეკანოზი იოანე სერგიევი დაბრუნდა და დღეს მღვდელ-მსახურებდა ანდრიას ტაძარში.

სევასტოპოლი. დღეს მოკლულ იქმნა ბრესტის პოლკის ხაზინადარი შტაბს-კაპიტანი ბაბენკო. ბრალი ედება მისს ორს მოსამსახურეს. ცოლი მისი ცოცხალ-მკვდარი იპოვნეს.

2 აგვისტო.

პეტერბურგი. მრეწველობის განყოფილება იუწყება, რომ დიუსელდორფში დაიწყო და გასტანს 7 (20) ოქტომბრამდე სამრეწველო გამოფენა რეინისა და ვესტფალიის პროვინციისა, აგრეთვე საეროვნო გერმანიის გამოფენა მშვენიერ ხელოვნებათა.—ხელმწიფე იმპერატორი ინებებს და დაესწრება სარაზმო ალლუმებზედ 3, 7, 8 და 10 აგვისტოს.—„Правит. Вѣст.“-ში გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო საბჭოსი სენატის I და II დეპარტამენტისა და საზოგადო კრების გარდაწყვეტილებათა კრებულის გამოცემის შესახებ.

ნიუ-იორკი. აქაურმა ბირჟამ შეიწყნარა თხოვნა იმის შესახებ, რომ რუსეთის 4%-იანი რენტა განაღდებულ იქმნას 2,310 მილიონის მანათისა.

პარიჟი. მინისტრთა საბჭოში განბჭობილ იქმნა ის ამბები, რომელიც მოჰხდა ფინისტერში სკოლების დაუქმების დროს. კომბმა სთქვა: ოფიციალური ცნობანი გვაქს, რომ ის მოძრაობა, რომელსაც პირველში კათოლიკებრი ხასიათი მისცეს, უეჭველი საბუთებით როიალისტურის ხასიათისა აღმოჩნდა, უწესოებანი, რომელიც ამ საქმის გამო მოხდა, სისხლის სამართლის წესით უნდა იქმნას განკითხულიო.

შამბერი. სკოლის კარებზედ დადებული ბეჭედი აჰგლიჯა გრაფინია ბორეგარმა.

პარიჟი. ოპოზიციის გაზეთები ამტკიცებენ, რომ მთავრობის ის აზრი, ვითომ მოძრაობა სკოლების დაუქმების წინაამდეგ როიალისტებურის ხასიათისააო, ტყუილი აზრია და მხოლოდ იმიტომ არის გავრცელებული, რომ საზოგადოება მოტყუვდეს, ხოლო თვითონ გაჭირვებულ მდგომარეობას თავი დააღწიონო.—პრუდანიელს, ლანებოლის მახლობლად გლეხკაცობამ შეჰკრა ეკლიანის მავთულით გზა მონოზანთა სკოლისაკენ მიმავალი, ხოლო თვით კარწინ ამოიღეს ღრმა თხრილი.

პორტ-არტური. ქალაქის მმართველობამ სთხოვა იაროსლავ-კოსტრომის საადგილ-მამულო ბანკის განყოფილება დაიარსე პორტ-არტურშიო.—1 აგვისტოს მოვიდა აქ პირველი პირდაპირ მომავალი, არსად არ გადასაჯდომი მატარებელი: მოსკოვ-პორტ-არტური. ამ მატარებლით მოდის იაპონიის პრინცი კომაცუ.

მოსკოვი. 1 აგვისტოს აკურთხეს ტაძარი საბანაკო სამკურნალოსთან. ეს ტაძარი აშენებულ იქმნა კერძო შემოწირულებით ხელმწიფე იმპერატორის განკურნების მოსაგონებლად.

პეტერბურგი. „Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილი: მანჯურიიდან მოსულ ცნობით 25—31 ივლისამდე ხოლერა უმთავრეს ქალაქებში კვლავ განაგრძობს თავის საქმეს წინანდელის რაოდენობით. მანჯურიის სადგურზედ 5 შემთხვევა იყო ავადმყოფისა; მანჯურიაში 25 ივლისამდე ავად გახდა 5 კაცი; ხაბაროვსკაში 25 ივლისამდე ავად გახდა 11 კაცი; სლოვიანოის სადგურზედ ავად გახდა 8 კაცი. პორტ-არტურს 18—23 ივლისამდე კვლავ ავად გახდა 92, მოკვდა 67 და მორჩა 67. მოარულის დაწყებიდან სულ ავად გახდა 44 კაცი, 65 მორჩა და 285 მოკვდა.

ქალაქ დალნიში ავად გახდა 33 და მოკვდა 20. ხოლერას ეტყობა, რომ ვრცელდება უფრო რკინის გზით და მდინარეთა აყოლებით. ოდესაში სამკურნალოს მიჰმართა ავადმყოფმა, რომელიც საეჭვოდ იქმნა ცნობილი. ჰგრძნობენ, რომ ჭირით იყო ავადაო. ავადმყოფი მოკვდა. აღკრძალულ იქმნა ოდესიდან გატანა შემდეგის საქონლისა: საცელებისა, ტანისამოსისა, ძველ-ძვეულებისა, ტომრებისა, ძველ ხალიჩებისა, ტყავებისა, საკლავის საქონლისა, ახალის ნარჩენისა და ბეწვ-ბალანისა.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	$46,07^1/_2$
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	$46,27^1/_2$
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—6%
4% სახელმწიფო რენტა	$96^7/_8$ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	463 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$351^1/_2$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$286^1/_2$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9675 წვ. გაყ.
აქციები ,, " " "	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	369 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	183 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლის

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57 წ. დილ	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—1)

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად საშინელის გაჭირვებისა გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკლესიობისა გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევაგროვეთ ორმოც თუმნამდე, ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იყრის მუხლს გულისა თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—ადგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწიონ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკლესიის საკურთხეველსა შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
მკურნალი—ვლ. ინაევი
გამომძიებელი—**Мих. Вас. Чиловъ**
ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
მფარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

განცხადება

პირველ სექტემბრიდგან ამა წლისა წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯან-მრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლის და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა და სასოფლო-მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დაჰხუროს.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: მთელი წლის შესანახი ფული 84 მ. პირველ სექტემბერს.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი. ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. ვინც სადგურიდგან ყმაწვილს ერთი წლის შესრულებამდე ადრე გაიყვანს, იმისგნით შემოტანილი ფული დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც, გადაჰბეჭდონ ეს განცხადება. (5—მ.—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.